საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/430

ქ. ბათუმი 19 მაისი, 2023 წ.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე" (მეოთხე დონე) ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის და 66[1]–ე მუხლის მე–6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სატყეო საქმე (მეოთხე დონე) ზოგიერთი სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 25 აპრილის N01-08/407 ბრძანების, ბსუ-სა და პროფესიულ სტუდენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მამუკა გოგელიას 2023 წლის 20 აპრილის N436272 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუწყდეთ ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსი ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე" (მეოთხე დონე) იმ პროფესიულ სტუდენტებს *(დანართი №1)*, რომელთაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. ბრძანება აისახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით, ინდივიდუალურად ეცნობოს შესაბამის პროფესიულ სტუდენტს (ბრძანებაში აღნიშნულ სხვა პროფესიულ სტუდენტთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით), რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო

პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, პროფესიულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სატყეო საქმე" (მეოთხე დონე) ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე"

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 19 მაისის № 01-08/430 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **"სატყეო საქმე"** (მეოთხე დონე) პროფესიული სტუდენტები, რომლებმაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი:

№	სახელი და გვარი	პირადი№	ჩარიცხვის ბრძანების № და თარიღი/ხელშეკრულების № და თარიღი	მისამართი
1	მარიამ დავითაძე		N01-08/983; 07.11.2022; ხელშ. N20-04/103; 03.11.2022	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N 6, ბ. 43
2	გივი გიორგაძე		01-08/920; 10.10.2022; ხელშ. N 20-14/73; 06.10.2022	ქალაქი ქობულეთი, თხილაიშვილის ქუჩა, N 25
3	გიორგი მოწყობილი		01-08/920; 10.10.2022; ხელშ. N20-04/79; 06.10.2022	ქობულეთი ს. წყავროკა მე–13 ქ. N4
4	კახა შავაძე		01-08/920; 10.10.2022; ხელშ. N20-04/66; 06.10.2022	ხულო ს. შუასოფელი 1–ლი VI ჩიხი N3